ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 59

07.09.2021
14:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 7 სექტემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და დათო რურუა (კომისიის წევრი);

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე **მარიამ კვერნაძე,** მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა და** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

კომისიის სხდომას უძღვებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“** *(საფუძველი: 03.09.2021; N12-032124639-03), (მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე).*

2. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2021 წელს გაწეული** საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა, *(მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი).*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე კომისიას წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ.

მარიამ კვერნაძე - მოგესალმებით, მოგეხსენებათ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ დედაქალაქს გადმოეცემა შპს „ალმა“ -ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალი, 8440 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების N1-N2-4 საერთო ფართობით 2966.22 კვ.მ.; N3 – 30.25კვ.მ. და N5 - 6.72კვ.მ-ის, საკადასტრო კოდი, N01.13.03.041.010. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სპორტულ ობიექტს, რაზეც განთავსებულია დიღმის აუზი, სპორტული სტადიონები და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა, გაცვლის მიზანი გახლავთ სპორტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება. საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დადებითი პოზიციები.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური მზადაა აღნიშნული უძრავი ქონება შეიტანოს სამსახურის პრიორიტეტულ საკითხებში და განავითაროს სპორტული პროფილით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მისასალმებელია წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების გაცვლის საკითხი, მხარს ვუჭერ, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით არ გვაქვს შენიშვნა, მიღებული გადაწყვეტილება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას და მის განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, საქალაქო სამსახურის მიერ, 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია, კომისიას წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა **ირაკლი გვილავამ**

ირაკლი გვილავა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 25 სპორტული ფედერაცია, საქართველოს 12 სპორტული ფედერაცია და 19 სპორტული ორგანიზაცია, განხორციელდა 116 პროექტი, ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 20 000-მდე ბენეფიციარმა, 16 სპორტული ორგანიზაციისთვის განხორციელდა საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, 2020 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის 2021 წელს დაჯილდოვდა 5 თბილისელი სპორტსმენი, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 350 მწვრთნელ - მასწავლებელს რომლებიც სპორტის 49 სახეობაში უსასყიდლოდ ავარჯიშებენ მოზარდებს.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგ სპორტულ ობიექტებზე: ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის და დიდ ლილოში,

ვარკეთილის დასახლებაში სპორტული დარბაზის ტრენაჟორებით და სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრისთვის სამაცივრო დანადგარის შეძენა, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის“ დაზიანებული კედლების და ცხელი წყლის სისტემის სარემონტო-სარეაბილიტაციაო სამუშაოები, ა(ა)იპ „წყალთა სახეობის ცენტრი - ტონუსი“ - ს საცურაო აუზის ტექნიკური დანადგარების შეძენა, ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და სპორტული დარბაზის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის საინჟინრო ექსპერტიზა, ა(ა)იპ "ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის "გლდანის საცურაო აუზისთვის დანადგარების შეძენა, ა(ა)იპ "ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის "კულა გლდანელის ჭიდაობის დარბაზის და მუხიანის რაგბის კომპლექსის იატაკების მოწყობა, ა(ა)იპ "ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრისთვის" ტურნიკეტების, კომპიუტერების და პრინტერების შეძენა, ა(ა)იპ "ქ. თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის" სარემონტო სამუშაოები, ა(ა)იპ "ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის" ვაზისუბნის რაგბის მოედნის რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში 29 სპორტის სახეობაში დაფინანსდა 18 წლამდე ასაკის 239 სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

საანგარიშო პერიოდში პარაცენტრში მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში, საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული იყო 217 პარასპორტსმენი (მ.შ. 189 მამაკაცი და 28 ქალი) და 20 მწვრთნელი, ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა

ახალგაზრდული მიმართულებით მიმდინარე წელს დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

“სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაციის“ პროექტი „სოციალური მეწარმეობის სკოლა“, პროექტის მიზანი იყო მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, სოც. დაუცველი ახალგაზრდები, ყოფილი ქალი მსჯავრდებულები) დასაქმების ხელშეწყობა, მათთვის პროფესიული განათლების და სოციალური მეწარმეობის უნარების შესწავლის და გამომუშავების გზით. საქართველოს კიბერსპორტის ფედერაციის პროექტი „თბილისის თასი 2021“, პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად,. ასევე, ფეინტბოლის პოპულარიზაციის მხარდაჭერა ახალგაზრდებში. რაგბის ასოციაციის პროექტი „მარადონას კედელი“, რომლის მიზანი იყო ქუჩის ხელოვნების პოპულარიზაცია და ქალაქის იერსახის გალამაზება. „აფხაზეთი-ჩემი სახლი“-ს პროექტი „დებიუტი (მეხუთე გამოცემა)“, რომლის მიზანი იყო ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების მოტივირება, ხელშეწყობა, ახალგაზრდობაში კულტურულ-საგანმანათლებლო იდეების დანერგვა და ესთეტიკური ფასეულობების განვითარება. „სამოქალაქო ინიციატივა საზოგადოების ჯანმრთელობისთვის“ პროექტი „თბილისის მოხალისე“, რომლის მიზანი იყო მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული ახალგაზრდების წახალისება და მათი გაერთიანება საერთო მოხალისეობრივი პლატფორმის ქვეშ. „ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრი“-ს პროექტი, „თბილისის თასი მინი ფეხბურთში“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების გააქტიურება და ჩართვა სპორტულ აქტივობებში. საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის პროექტი „სტუდენტური ორგანიზაციების გასვლითი ფორუმი“, პროექტის მიზანი იყო ,დედაქალაქში არსებული სტუდენტური ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ჩართულობის გაზრდა საერთო ღონისძიებების დაგეგმვაში, პოსტპანდემიურ პერიოდში

განსახორციელებელი (მოთხოვნადი) ღონისძიებების გამოკვეთა. „ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის“ პროექტი „ფეინთბოლი - ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად“, პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად, ასევე, ფეინტბოლის პოპულარიზაციის მხარდაჭერა ახალგაზრდებში. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანება) „არტ პროექტი“-ს პროექტი „გიორგი ფოფხაძის გამოფენა/გაყიდვა - 2021“, პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდა მხატვრისთვის საგამოფენო სივრცის მოწყობა და მისი ნამუშევრების წარდგენა საზოგადოებისთვის. შემოქმედებითი ასოციაცია „რევერანსი“-ს პროექტი „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება”, პროექტის მიზანი იყო ბავშვთა საერთაშორისო დღის სათანადოდ აღნიშვნა პანდემიის პირობებში. ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომობა და შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების გამართვა.

საანგარიშო პერიოდში თბილისის ბიუჯეტის სახსრებიდან თბილისის მთავრობის მუნიციპალიტეტის N21.53.51.- 28.01.2021 განკარგულების თანახმად, დაწესებულებისათვის გამოყოფილი იქნა 255 640 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათას ექვსას ორმოცი) ლარი, მათ შორის ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსებისთვის(წახალისება)“–157390 ლარი, კომუნალური, ინტერნეტ მომსახურებისა და სხვა ხარჯების დასაფარად - 98250 ლ.

მიმდინარე წლის ორივე კვარტალში გრძელდებოდა პროგრამები: ,,სოციალურად დაუცველი და სხვა კატეგორიის მოსახლეობის სერვისები'' და ,,ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებების (N21.127.128-10.02.2021; N21.218.238-24.02.2021, N21.370.408-24.03.2021 N21.672.768-25.05.2021, N21.901.1102-30.06.2021 თანახმად ბიუჯეტის ქვეპროგრამით ,,ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა''(კოდი: 08 08 01) გათვალისწინებული ასიგნებიდან ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ თანამშრომელთა იანვრის, თებერვლის, მარტის, მაისისა და ივნისის შრომითი ანაზღაურებისთვის სუბსიდიის სახით გამოყოფილი იქნა 149622,20 ლარი (იანვარი - 24825, თებერვალი - 24825, მარტი -49522.20, მაისი-25075, ივნისი - 25375)

ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება- პროგრამა ითვალისწინებს მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერის ხარჯებს. ცენტრის პროგრამას „მერიასთან ერთად“ დაემატა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, ბანაკებისა და სკოლების მონაწილეთა გადაადგილებისთვის; მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამას დაემატა მოხალისეების გადამზადების კომპონენტი, როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი მოხალისეების ჩართვის მიზნით. არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების საჭიროებებზე დაყრდნობით, დაიგეგმა ტრენინგ-კურსების და საჯარო შეხვედრების ორგანიზება, დაიგეგმა ახალგაზრდული ბანაკები და სკოლები. დაინერგა ელექტრონული სერვისი (www.youthtbilisi.ge), პროგრამა მოიცავს ელექტრონული პლატფორმების ეფექტური მართვის, გამართული მუშაობისა და გაუმჯობესების ხარჯებს. პროგრამა მოიცავს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასა და კულტურულ შემოქმედებით აქტივობებთან დაკავშირებულ მასობრივი ღონისძიებების ორგანიზებისა და

მხარდაჭერის ხარჯებს. **პროგრამა ასევე ითვალისწინებს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებს.**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წლის (იანვარი-სექტემბერი) პერიოდში განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე